

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ა(ა)იპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

და

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014 წლის 30 სექტემბერი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის თავმჯდომარის, ავთანდილ დემეტრაშვილის სახით და მეორე მხრივ, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი ილიას ჩილოდლუს, სახით, ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის მიზანი და საგანი

1.1 წინამდებარე მემორანდუმის მიზანია მხარეთა მომავალი ურთიერთ-თანამშრომლობისათვის საფუძვლის ჩაყრა და მისი შემდგომი ხელშეწყობა. ამ ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და სტუდენტები ჩაერთვებიან ა(ა)იპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებსა და კვლევებში, დაგეგმავენ ერთობლივ ღონისძიებებს და გაივლიან სტაჟირებას, ხოლო ა(ა)იპ კონსტიტუციონალიზმის ცენტრი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში კონსტიტუციური სამართლის სწავლებისა და კვლევების ხელშეწყობას

2. განცხადებები და გარანტიები

2.1 წინამდებარე მემორანდუმზე ხელმოწერით თითოეული მხარე აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

2.1.1 სრულად უფლებამოსილია, ხელი მოაწეროს ან გააფორმოს წინამდებარე მემორანდუმი და შეასრულოს მემორანდუმიდან გამომდინარე ყველა ვალდებულება;

2.1.2 მეორე მხარისთვის მიწოდებული ინფორმაცია არის ნამდვილი, ზუსტი და სრული;

2.1.3 სამართლებრივად უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანია, შესთავაზოს წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული მომსახურება და არ აქვს რაიმე შეზღუდვა ან არ დაეკისრება რაიმე ვალდებულება, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ან შეზღუდოს მის მიერ ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

2.2 ეს განცხადებები და გარანტიები ძალაში რჩება წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების განმავლობაში.

2.3 მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ მემორანდუმს დებენ ზემოთ მოცემულ განცხადებებზე, გარანტიებსა და ვალდებულებებზე დაყრდნობით და თვლიან მათ მემორანდუმის პირობებად. შესაბამისად, წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული განცხადებების, გარანტიებისა და ვალდებულებების ერთ-ერთი მხარის მიერ დარღვევა წარმოადგენს მეორე მხარის მიერ წინამდებარე მემორანდუმის დაუყოვნებლივ შეწყვეტის საფუძველს.

3. მემორანდუმის პირობები

3.1. საგანმანათლებლო ინფორმაციების ორმხრივად გაცვლა;

3.2. სასერთიფიკატო პროგრამების ერთობლივად განხორციელება;

3.3. უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით ერთობლივი ლექცია-სემინარების ჩატარება;

3.4. სამეცნიერო კონფერენციებისა და იმიტირებული სასამართლო პროცესების ორგანიზება;

ცალკეული ღონისძიებების ჩატარებისა და სხვა სახის ერთობლივი მოქმედებების განხორციელების რეგულირება მოხდება მხარეებს შორის შემდგომი მოლაპარაკებების შესაბამისად, ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე.

მხარეები თანხმდებიან, რომ იმოქმედებენ თანასწორი უფლებიანობისა და ერთმანეთის ინტერესების დაცვის პრინციპზე აგებული თანამშრომლობის შესაბამისად.

4. მემორანდუმის ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 1 წლის ვადით. თუ ამ ვადის ამოწურვამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე ერთ-ერთი მხარე არ შეატყობინებს მეორეს მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე, მემორანდუმის მოქმედება გაგრძელდება იმავე ვადითა და იმავე პირობებით.

4.2. გარდა წინამდებარე მემორანდუმის 2.3 და 4.3 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა, მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს ცალმხრივად, ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წინასწარ, არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

5. სხვა პირობები

5.1. წინამდებარე მემორანდუმი რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მემორანდუმით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით

დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.

- 5.2. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებას ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედების გამო, ვალდებულია დაუყოვნებლივ, აღნიშნული გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორულ გარემოებათა და მათი დადგომის შესახებ და მიიღოს აუცილებელი ზომები ამ გარემოებებით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შესამცირებლად. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ამ გარემოებებით შეფერხებული ვალდებულებების შესრულება გადავადდება ფორს-მაჟორული გარემოების აღმოფხვრამდე. ამ პუნქტის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარის შეცდომასა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საკანონმდებლო რეგულაციებით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
- 5.3. წინამდებარე მემორანდუმიდან წარმოშობილი დავები წესრიგდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო.
- 5.4. ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წინამდებარე მემორანდუმში საჭიროებს ორივე მხარის თანხმობას და უნდა გაფორმდეს წერილობით.
- 5.5. მემორანდუმის დანართ(ებ)ი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 5.6. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის ბათილობა არ იწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას.
- 5.7. მემორანდუმი გაფორმებულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა უნივერსიტეტს, ხოლო ერთი - კომპანიას.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ა(ა)იპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის თავმჯდომარე, ავთანდილ დემეტრაშვილი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ილიას ჩილოღლი

